*დანართი №2*

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს „მწვანე სკოლა" |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 401959528 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...[signature]...
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...[signature]...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| ავტორიზაციის მოპოვების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | X |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | X |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | X |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას | |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..[signature]..
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..[signature]..
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |
| იურიდიული მისამართი | თბილისი, დიღმის მასივი, VIკვ., კორპ. N 5ა, ბინა 35 |
| ფაქტობრივი მისამართი | თბილისი, დიღმის მასივი, ევგენი მიქელაძის ქ.N3ა |
| საფოსტო ინდექსი | 0159 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | http://greenschool.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | info@greenschool.ge |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 0322520008 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | კახა დავითური |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 599500435 |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ......................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................



ბ.ა.

| | |
|---|---|
| ელ-ფოსტა | kdavituri@yahoo.com |

III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N186069, 13/02/20წ. |
| მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი) | ნანა მონიავა -ჯგუფის თავმჯდომარე.<br>თამარ მიდელაშვილი - ჯგუფის წევრი. |
| ვიზიტის განხორციელების პერიოდი | 17-18/02/20წ. |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 25/02/20წ. |
| დასკვნის წარმოდგენის თარიღი | 25./02/20წ |

*შენიშვნა: მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.*



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...ნ. მონიავა...
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...თ. მიდელაშვილი...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

IV. მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | მუხლი 6/ პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ა) | ☒ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...ნ. მონიკა...
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...თ. მიქელაძე...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | | | |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. ჭოჭუა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი თ. ძიძიგურიშვილი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...6. შო ნოვ...

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....ლ. მიქელაძე....

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................



ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | მუხლი 8 | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 /პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...ნ. ბორია-...
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...თ. მილდიანი...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | გადანაწილებას | | | |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | .............. |
| | *1.2.* | ............... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. მომთაძე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი თ. მიქელაძე
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................



ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 2.2. | ............... |
| | | |
| | | |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 3.1. | |
| | | |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........[illegible]..........
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........[illegible]..........
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................



ბ.ა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | .............. |
| | *1.2.* | ............... |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.1.* | ............... |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | 1. წარმატების საათი (მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების (მშობლების, მასწავლებლების, სკოლის დირექციის, სხვა კლასის მოსწავლეების) წინაშე საუბრობენ სემესტრის განმავლობაში რა გააკეთეს და რა წარმატებებს მიაღწიეს).<br>2. სტიპენდიანტები (სკოლაში კონკურსის საფუძველზე ხდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში გადასახადის გარეშე).<br>3. არაფორმალური სივრცის საგაკვეთილო პროცესისატვის გამოყენება.<br>4. უფროსკლასელთა და დაწყებითი კლასის მოსწავლეთა თანამშრომლობა ერთობლივი პროექტების განხორციელება.<br>5. სკოლის თანამშრომელს(ქალსაც და მამაკაცსაც) შვილის შეძენის შემთხვევაში სკოლა ერთჯერად ფულად ჯილდოს 500ლარის ოდენობით გადასცემს. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | *თბილისის მწვანე სკოლის მისიაა შექმნას მოზარდთა ინტელექტუალური და ფიზიკური აღზრდისათვის აუცილებელი, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო და მისცეს მათ თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი განათლება. სკოლა ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი მოსწვალეების აღზრდასა და მათ წარმატებულ მომავალზე.* |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...........................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | 1.1. ყურადღება გაამახვილონ საგნობრივი სტანდარტების ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებზე შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრის დროს.<br>დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ფორმა არ იყოს მხოლოდ საგაკვეთილო სახის.<br>1.4. სასკოლო სასწავლო გეგმაში წლიური გამოცდების შესახებ ინფორმირება. |

IX . ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „თბილისის მწვანე სკოლა" წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას. სკოლაში სწავლობს 1021 მოსწავლე 54 ფინანსური კლასი.<br>სკოლას შემუშავებული აქვს 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. მონი...
მონიტორინგის ჯგუფის წევრი თ. ...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მისი ნაწილებია:<br><br>1. მისია<br>2. სკოლის საერთო კულტურა<br>3. სკოლის საგანმანათლებლო ამოცანები<br>4. სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება.<br>5. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი მომსახურება<br>6. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი<br>7. 2019-2020 სასწავლო წლის კალენდარი. სკოლაში სასწავლო წელი დაიწყება და დამთავრდება კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად, მას სემესტრებად ჰყოფს ზამთრის არდადეგები. ერთი აკადემიური წლის მანძილზე II-XI კლასებისთვის სასწავლო კვირების ხანგრძლივობა არის 35, I კლასისათვის-32, XII კლასებისთვის – 31 კვირა.<br>8. სკოლის საათობრივი ბადე<br>9. შეფასების პრინციპები. ამ მიმართულებით გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა; აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა; შეფასება სამივე საფეხურზე, შეფასების კომპონენტები; განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები; ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...ნ. ძოწენიძე...
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...[illegible]...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაძლევა, გამოცდის ტიპები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება, გაცდენები, შინ სწავლება.<br>10. საგანმანათლებლო რესურსების მართვა<br>11. საგანმანათლებლო რესურსების ტიპები<br>12. სახელმძღვანელოების შერჩევა სკოლაში, გაწერილია სახელმძღვანელოების შერჩევის წესები, პრინციპები, ინსტრუქციები.<br>13. სკოლის მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები. კლასების, საგნების მიხედვით სახელმძღვანელოს ავტორების მითითებითაა წარმოდგენილი სრული ნუსხა.<br>14. ინკლუზიური განათლების კონცეფცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში/შაბლონი.<br>15. სასწავლო გეგმის გადახედვისა და გაუმჯობესების მექანიზმები. რომელიც განიხილავს შემდეგ საკითხებს: ზოგადი დებულებები, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, შესაფასებელი სფეროები, მონაცემების შეგროვების წყაროები, შემჯამებელი ანგარიშის წარმოდგენა , თვითშეფასება, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ცალკეულ მექანიზმებზე პასუხისმგებელი პირები, სკოლის შიდა ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი.<br>16. სადამრიგებლო პროგრამა.ამ თავში წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია, კლასის დამრიგებლის მოვალეობები, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, კერძოდ, IX კლასსა და XI ან XII კლასში ჩასატარებელი აქტივობები, კლასის დამრიგებლის ფუნქციები და მუსაობის პრინციპები. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...ნ. მოსია...
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...ლ. მიქაბაძე...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სადამრიგებლო პროგრამის საორიენტაციო თემატიკა. დაწვრილებით სწავლების საფეხურებისა და კლასების მიხედვიტ გაწერილი.<br>III-XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. პირველ კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 35 წუთით, ხოლო II კლასში - 40 წუთით. სკოლაში გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა არის 5 წუთი. შესვენებებს შორის არის ერთი დიდი დასვენება, რომელიც 15 წუთს გრძელდება.<br>შპს „თბილისის მწვანე სკოლის" სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა სავალდებულო საგანი: ქართული ენა, მათემატიკა, პირველი უცხოური ენა (ინგლისური), მეორე უცხოური ენა (რუსული, გერმანული, ფრანგული), ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, მე და საზოგადოება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ბუნება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ისტ (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, საგზაო წესები, ფიზიკური აღზრდა და სპორტი( ჩოგბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი).<br>არჩევითი საგანი საშუალო საფეხურზე შერჩეულია მშობელთა (კანონიერი წარმომადგენელის) განცხდების საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. Xკლასი-მსოფლიო კულტურა, XI კლასი-კინოხელოვნება, XII კლასი- სამედიცინო ბიოლოგია<br><br>**დამატებით სავალდებულო** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...ნ. ქორთ-...............
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...[signature]...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 1. I, II, III კლასში ორივე სემესტრში კითხვის საათის 1 საათი დაემატება გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ხარჯზე.<br>2. IV კლასში ლოგიკური ამოცანების 1 საათი ორივე სემესტრში დაემატა გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ხარჯზე.<br>3. IV კლასში წაკითხულის გააზრება 1 საათი ორივე სემესტრში დაემატა გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ხარჯზე.<br>4. X, XI კლასში დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურების სახით შეტანილია ზოგადი უნარები(ვერბალური ნაწილი) კვირაში 2 საათი, ცვლილება განხორციელებულია სპორტის 1 საათისა და სასწავლო დღის გახანგრძლივების ხარჯზე. აღნიშნულ საგანში მოსწავლე ფასდება ჩათვლით.<br>5. XII კლასში დამატებულია 3 საათი ისტორია, ბიოლოგია, 4 საათი ქიმია, 2 საათი ხელოვნების ისტორია სასწავლო დღის გახანგრძლივების ხარჯზე.<br>**პირველი უცხოური ენა (ინგლისური ენა)**<br>1. I კლასში პირველ სემესტრში იქნება 3 საათი 0–ის ნაცვლად და 3 საათი მეორე სემესტრში 1 საათის ნაცვლად გახანგრძლივებულის ხარჯზე.<br>2. II კლასში იქნება 3 საათი 2–ის ნაცვლად ორივე სემესტრში გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ხარჯზე.<br>3. III კლასში 3 საათის ნაცვლად იქნება ორივე სემესტრში 4 საათი, 1 საათი დამეტა გახანგრძლივებულის ხარჯზე.<br>4. IV, V, VI,VII, VIII კლასებში პირველ უცხო ენას ეთმობა 5 საათი ნაცვლად ესგ_თი გათვალისწინებული 3 საათისა. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 5. IX, X, XI, XII კლასებში 5 საათი ნაცვლად 2 საათისა.<br>**მეორე უცხოური ენა (რუსული, გერმანული, ფრანგული)**<br>1. IV კლასში ორივე სემესტრში 2 საათი დაემატა გახანგრძლივებულის<br>2. მეორე უცხო ენას VII,VIII, IX კლასებში ეთმობა 3 საათი ნაცვლად 2 საათისა.<br>**ფიზიკური აღზრდა სპორტი**<br>1. I, II, III, IV კლასებში ორივე სემესტრში იქნება 1 საათი – ფიზიკური აღზრდა, 1 საათი –ჭადრაკი, 1 საათი–ჩოგბურთი<br>2. X, XI, XII კლასებში სპორტს ეთმობა 1 საათი ნაცვლად ესგ_თი გათვალისწინებული საათების რაოდენობისა.<br>**მათემატიკა და ისტ-ი.**<br>1. I კლასში - მათემატიკა ორივე სემესტრში 4 საათის ნაცვლად იქნება 5 , 1 ისტ–ის საათის დამატების ხარჯზე.<br>2. VI კლასში მათემატიკას ეთმობა 5 საათი ნაცვლად ესგ_თი გათვალისწინებული 4 საათისა. საათების რაოდენობა გაზრდილია სასწავლო დღის გახანგრძლივების ხარჯზე.<br>3. VII კლასში სასწავლო ბადეში დამატებულია ისტ-ი კვირაში 1 საათი სპორტის 1 საათის ხარჯზე.<br>**ქართული ენა და ლიტერატურა.**<br>1. XI კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურას ეთმობა 6 საათი ნაცვლად 5 საათისა.<br>2. XII კლასში ქართულს ეთმობა 9 საათი, აქედან 5 ძირითადი და 4 დამატებითი სასწავლო დღის გახანგრძლივების ხარჯზე. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...6. მოთ-ვ-...
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...[signature]...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეღავათიან სექტორზე სწავლება მიმდინარეობს II-XII კლასებში. ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის შესაბამისად.<br>არჩევითი საგნები ამ სექტორზე ხელოვნების ისტორია, ქიმიური ტექნოლოგიები და სამედიცინო ბიოლოგია.<br>სკოლის სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 05.09.2020წ.).<br>• მასწავლებლებთან გასაუბრებით<br>• დირექციასთან გასაუბრებით |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან | სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის საფეხურის მიზნები, ამოცანები და შედეგები, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ......................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დამატებითი საგნების პროგრამები.<br><br>სკოლაში ფუნქციონირებს 8 კათედრა:<br>1. ქართული ენისა და ლიტერატურის;<br>2. მათემატიკისა და ისტ ტექნოლოგიების;<br>3. საზოგადოებრივი მეცნიერებების;<br>4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების;<br>5. უცხო ენების;<br>6. დაწყებითი კლასების.<br>7. ესთეტიკური აღზრდის;<br>8. სპორტის;<br>შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კათედრის ფუნქციონირების ამსახველი დოკუმენტაცია, შემაჯამებელი სამუშაოების განრიგი, დაგეგმილი შემაჯამებლების პროექტები, ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზები. ყველა კათედრას აქვს შემაჯამებელი სამუსაოების განსხვავებული ანალიზის ფორმები (ზოგადიც და ანალიტიკურიც), ხშირ შემთხვევაში შეიძლება ინფორმაცია მიიღო, როგორც მთლიანი კლასის კონკრეტული ერთი მიზნის, ასევე თითოეული მოსწავლის შესახებ არსებული პრობლემის შესახებ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.<br>კათედრის ფუნქციებია :<br>საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების არჩევა, გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა კათედრებთან თანამშრომლობა, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. ბოლოკ-
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რეკომენდაციების შემუშავება სასწავლო რესურსების შესახებ, რეკომენდაციების შემუშავება ახალი მიდგომებისა და მეთოდების შესახებ, კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე.<br>ასევე გათვალისწინებულია კონტროლისა და მონიტორინგის სისტემა, რომელსაც შეიმუშავებს გათვალისწინებული როგორც სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე დირექტორის მიერ გამოცემული ნორმატიულ აქტებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით.<br>სკოლის შიდა კონტროლის მექანიზმებია: გაკვეთლებზე ურთიერთდასწრება, საგანმანათლებლო მიზნების შესრულების შესწავლა, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი და განხილვა პედაგოგიურ და კათედრის სხდომებზე. პედაგოგთა გამოცდილების წარმოჩენა-განზოგადება და დაკისრებულ ფუნქციათა შესრულების აღრიცხვა.<br>„თბილისის მწვანე სკოლის“ საბაზო და საშუალო საფეხურზე (მე-7, მე-8,მე-9 მე-10, მე-11 ) კლასებში ტარდება წლიური შემაჯამებელი ტესტირება, რომლის მიზანია სასკოლო მონიტორინგის განხორციელება. მიღებულ შედეეგზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და შესაბამისი სტრატეგიების დასახვა მომდევნო სასწავლო წლისათვის.<br>სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის რეჟიმი. გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ცენტრი წარმოადგენს სავალდებულო გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო მუშაობის თავისუფალი დროის სწორად წარმართვის საშუალებას. გახანგრძლივებული საქმიანობას განახორციელებს სასკოლო სასწავლო გეგმისა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | და ესგ-ს პრინციპების შესაბამისად. გახანგრძლივებულ ჯგუფში მუშაობენ მასწავლებლები და მათი ასისტენტები.<br>შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე შიძლება დავასკვნათ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• კათედრების პორტფოლიოები<br>• გახანგრძლივებული დღის სწავლების პროგრამებით.<br>• მასწავლებლებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან და დირექციასთან გასაუბრებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „თბილისის მწვანე სკოლის" 2019-2020 სასკოლო სასწავლო გეგმაში დაწვრილებითაა გაწერილი ინკლუზიური განათლების კონცეფცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. მოთიაშ-
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ლ. ძიგუაშვილი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესამუშავებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში/შაბლონი და მისი შემუშავების პრინციპები. ასევე განხილულია სსსმ მოსწავლის ტიპები, ისგ ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები, მუშაობის ფორმატის აღწერა, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებისა და გაცდენების, შინ სწავლების, სკოლაში მიღების წესი, სასკოლო გარემოს მოწყობა საჭიროებების შესაბამისად, მოსწავლის პორტფოლიოს შექმნის პრინციპები, მონიტორინგის ფორმა.<br><br>სკოლის მიზნების, ხედვებისა და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, სკოლის თანამშრომლებს მზაობა აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, სკოლაში მოსწავლეები უზრუნველყონ სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

**1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების**



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..........................

ბ.ა.

| გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები შეესაბამება ესგ-ს ძირითად პრინციპებს. სკოლა გამოიყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების მიზანია მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ესგ-ით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისია.<br>მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:<br>ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),<br>ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),<br>გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).<br><br>V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განისაზღვრება სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება.<br>1. მოსწავლეს დაენიშნება გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...ნ. გოგიძე...
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...[signature]...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თარიღი (რის შესახებ აუცილებლად ინფორმირებული უნდა იყოს მშობელი).<br>2. შემაჯამებელი დავალების აღდგენა ხორციელდება სემესტრის დასრულებამდე.<br>3. აღდგენითი შემაჯამებელი სამუშაო შესრულდება ინდივიდუალური ან ჯგუფური ფორმით (თუკი სხვა მოსწავლეებსაც სჭირდებათ აღდგენა), კლასებისა თუ საგნების მიუხედავად.<br>4. შემაჯამებელი აღდგენითი სამუშაოს ფორმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განისაზღვრება მასწავლებლის გადაწყვეტილებით, შესაბამის საგნის კათედრასთან შეთანხმებით.<br>5. თუ მოსწავლე განსაზღვრულ ვადაში ვერ აღადგენს შემაჯამებელ დავალებას, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე;<br>6. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, დავალების პირობა, სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები.<br><br>„თბილისის მწვანე სკოლის" სასწავლო გეგმის მიხედვით შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. ჭოხონე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი თ. ჭი...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ტიპის გამოცდები:<br>ა) სემესტრული გამოცდა;<br>ბ) საშემოდგომო გამოცდა;<br>გ) ექსტერნატის გამოცდა;<br>დ) წლიური გამოცდა 2019-2020 სასწავლო წელს არ იგეგმება.<br><br>„თბილისის მწვანე სკოლის" საბაზო და საშუალო საფეხურზე (მე-7, მე-8,მე-9 მე-10, მე-11 ) კლასებში ტარდება წლიური შემაჯამებელი ტესტირება შემდეგ საგნებში:ქართული ენა მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, სამოქალაქო განათლება, მეორე უცხო ენა. შემაჯამებელი ტესტირების ფორმატსა და ვადებს განსაზღვრავს საგნობრივი კათედრა.<br>ტესტირება ტარდება სასწავლო წლის დამთავრებამდე ორი კვირით ადრე.<br>ტესტირებასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების შესახებ მოსწავლეთა და მშობელთა დროულ და ამომწურავ ინფორმირებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი.<br>ტესტირების მიზანია სასკოლო მონიტორინგის განხორციელება. მიღებულ შედეეგბზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და შესაბამისი სტრატეგიების დასახვა მომდევნო სასწავლო წლისათვის. ტესტირებაში მიღებული ქულა არ აისახება საგნის წლიურ ნიშანზე. ტესტირებასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების შესახებ მოსწავლეთა და მშობელთა დროულ და ამომწურავ ინფორმირებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი. ტესტირების ქულა არ აისახება საგნის წლიურ ნიშანზე. კლასის ხელმძღვანელი და საგნის მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებსა და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. პოპიაშვ...
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მშობლებს გააცნოს დასკვნა აღნიშნულ კლასებში მონიტორინგის შედეგების შესახებ.<br><br>შპს „თბილისის მწვანე სკოლის" შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• კათედრების პორტფოლიოები<br>• პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კლასის დამრიგებლის სამუშაო პროგრამები, გაწერილია დამრიგებლის ფუნქცია- მოვალეობები, სადაც აღნიშნულია, რომ დამრიგებელიმა უნდა გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები. მშობელს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, არსებული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ......ნ. ჭოროშ.......
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......[signature]......
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;<br><br>სკოლა გეგმავს მშობელთა საბჭოს/ბორდის შექმნას, რათა უფრო მეტად იყვნენ ყველა კლასის მშობლები ჩართული სასკოლო ინიციატივებში, სკოლის განვითარების ხელშეწყობაში.<br><br>მშობლების ინფორმირებისათვის გამოიყენებენ ინდივიდუალურ გასაუბრებას როგორც მასწავლებლის ინიციატივით, ასევე მშობლის მოთხოვნით. დამრიგებელი უზრუნველყოფს მშობლისათვის ხელსაყრელ და პედაგოგთათვის თავისუფალ დროს შეხვედრის ორგანიზებას. იყენებენ ელექტრონულ ჟურნალს, ელექტრონული შეტყობინებებს, სატელეფონო საუბრებს, სკოლის ვებგვერდსა და facebook-ს.<br><br>სკოლის განვითარების ერთწლიან და ექვსწლიან გეგმებში გათვალისწინებულია სასკოლო ცხოვრებაში მშობლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმების სრულყოფა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სადამრიგებლო პროგრამები<br>• სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა<br>• სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა<br>• მშობლებტან გასაუბრება<br>• დირექციასთან გასაუბრება. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ........................

ბ.ა.

| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
|---|---|

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას, ინტერვენციის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენას და ზოგადად, უწყვეტ, გაუმჯობესებისკენ მიმართულ პროცესს. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილი, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები ან დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი/ჯგუფი. სკოლის დირექტორი ადგენს კვლევის საჭიროებებს და შეიმუშავებს მიმდინარე სემესტრში განსახორციელებელი აქტივობების გეგმას, რომელსაც წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს.<br>ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასებას ექვემდებარება შემდეგი სფეროები: დამრიგებლის მუშაობის შეფასება, კათედრების მუშაობის შეფასება, მასწავლებლების პორტფოლიოს წარმოების შეფასება, სასწავლო პროცესში გამოყენებული თვალსაჩინოებები, რამდენად ეფექტურად გამოიყენებოდა განმავითარებელი შეფასებები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. ბოლოძე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი თ. მიქელაძე
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეთა მომსახურების ხარისხი და მათი მიღწევები ( ასეთის არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესის ტექნიკური გამართულობა, შეესაბამებოდა თუ არა ტექნიკური აღჭურვილობა სასწავლო პროცესს და რამდენად უზრნველყო მიზნის მიღწევა, მშობელთა ჩართულობა, სკოლის უსაფრთხოება, შემაჯამებელი სამუშაოების შეფასება და ანალიზი, პედაგოგების შეფასება, საგაკვეთილო პროცესის ხარისხი. შეფასება ხორციელდება შემდეგი წყაროებიდან მოპოვებული ანალიზის საფუძველზე: სკოლის დოკუმენტაცია, ჯგუფური დისკუსია, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შიდასასკოლო მონიტრინგი, სასკოლო მონიტორინგის შედეგების ანალიზი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• მონიტორინგის სისტემა<br>• სკოლის შინაგანაწესი<br>• სკოლის ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები<br>• გასაუბრება მასწავლებლებთან და დირექციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...................................... ნ. ბონი.ვ-
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...................................... თ. მიქელაძე...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

2. მატერიალური რესურსი

| |
|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. მოთი...
მონიტორინგის ჯგუფის წევრი თ. მიდელაშვილი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მესაკუთრე - შპს მწვანე სკოლა. ამონაწერში (საჯარო რეესტრი) დაფიქსირებულია შენობის ფართი - N1 შენობის -1005,87კვ.მ. N3 შენობის - 4104,64 კვ.მ., N2, N4, N5 შენობები- საქვაბეა.<br><br>შენობების მთლიანი ფართი წარმოადგენს 5110,51 კვ.მ-ს., აქედან საბავშვო ბაღისათვის დათმობილია სამსართულიანი შენობის ერთი იზოლირებული ფლიგელი 424,48 კვ.მ.<br><br>შესაბამისად სკოლას დათმობილი აქვს 4686.03კვ.მ. ფართი, გარდა სპორტული დარბაზისა, რომელიც სკოლის ეზოშია და მისი ფართი შეადგენს 870,28 კვ.მ(აზომვითი ნახაზი)<br><br>N1 შენობას გააჩნია 3 შესასვლელი ეზოდან, N3 შენობას 4 შესასვლელი ეზოდან. ეზოს 2 შესასვლელი. სპორტულ დარბაზს ორი სესასვლელი.<br><br>01.13.03.027.006 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებულ მიწაზე არცერთი შენობა-ნაგებობა არ არის და არც გამოყოფილი ორი ნაკვეთი (01.13.03.027.005 01.13.03.027.006) ერთმანეთისაგან რაიმე ტიპის ღობით. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | თბილისი, დიღმის მასივი, ევგენი მიქელაძის ქ.N3ა |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 01.13.03.027.005<br>01.13.03.027.006 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. შონიავ
მონიტორინგის ჯგუფის წევრი თ. მიდელაშვილი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| კვ.მ. | 11689კვ.მ.<br>3291 კვ.მ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 02/12/2017<br><br>ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 01/12/2017 |
| შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
